



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N27 (9278)

30 სექტემბერი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი



საქართველოს
გზავნილი მსოფლიოს

3



5

ქართველი იტყვის – “გაგაჩოგა
აუხაზეთო უენი!”

ღია წერილი სამტრედიის მაჟორიტარ დაჯუტაჟს, გატონ მია მიქაძეს!

გარდასვლილი
ჯარისკაცის
ოჯახი სამართალს
ეძებს

3

“ისეთი სიზმარი ძაქვს
წინაში, სოხუმს
დაჯიბხუნებთ”

4

ნაბზარი რაა,
ყველა უენი
ნაკანონის მტკივნა...

7

“მეტი გზის
სნივი!”

როცა გმოგელი უვილის
მოუცლელობით გადნიერია!

9



8

უნივერსიტეტის
თვალთახედვის
ისარი
მოკლავა!

მოგავად ღიერთა სკოლა _ მოგავადზე ორიენტირებული ზროვეტი

6

ლია წაიღო სამტრედიის გაერთიანებული დაჯილდოვება, ხათონ მია მიქაძეს!

მოგახსენებთ, რომ ქალაქ სამტრედიის დაარსება და შემდგომ მისი ინფრასტრუქტურის განვითარება რეინიგის მშენებლობამ განაპირობა და მას "რეინიგ-ელთა ქალაქს" უწოდებდნენ. ვფიქრობთ, კვლავ პრიორიტეტული უნდა გახდეს სამტრედიის რეინიგის საკითხი. დღეს საქართველოში გამოიკვეთა, რა სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობა ექნება "ანაკლიის ღრმა წყლოვან პორტს", სწორედ უნდა წარმოჩნდეს ქალაქ სამტრედიის როლი, როგორც "სარეინიგ-ზო კვანის და მოხდეს ბმა ანაკლიასა და სამტრედიას შორის. როგორც ცნობილია, საქართველოს

მთავრობას აქვს სტრატეგია სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაზეც 3,5 მილიარდი არის გამოყოფილი. სასურველია მოხდეს "სატვირთო სადგურ სამტრედია 2-ის" მოდერნიზაცია. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული "სადგური - სამტრედიას" მიმდებარე ტერიტორიის - 100 ჰა გადაეცეს ინვესტორს უსასყიდლოდ 30 წლის ივარით, სადაც განავითარებს ინფრასტრუქტურას, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს, ვადის გასვლის შემდეგ კი კვლავ სახელმწიფოს დაუბრუნდება. ვფიქრობთ, სწორედ ამ დონისიძიებას შეუძლია, ქალაქი გამოიყვანოს კრიზისული მდ-

გომარეობიდან. ეკონომიური თვალსაზრისით რამდენად გამართლებული იქნება აქ უნდა ამოვიღოთ ადამიანების ფაქტორიდან, რადგანაც ეს იქნება სასიცოცხლო არტერი არა მარტო სამტრედიისათვის, არამედ ქუთაისისთვის, იმერეთის მხარისთვის, გურიისთვის, სამეგრელოსთვის - მილიანად დასავლეთ საქართველოსთვის. გასათვალისწინებელია ისიც, საქართველოს ტერიტორიები რუსეთს რომ აქვს ოკუპირებული. ამდენად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მიღად მზანშეწონილი არ უნდა იყოს მთელი ინფრასტრუქტურის განთავსება ოკუპირებულ ქვეყნის მახლობ-

ლად, მიგვაჩნია, ტერიტორიები განთავსდეს ქვეყნის შიგა სივრცეში, რომ ერთი წერტილოვანი დარტყმის შედეგად მთელი ინფრასტრუქტურა არ გამოვიდეს მწყობრიდან. მითუმეტეს, რომ ამის გამოცდილება აქვს ქვეყანას 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად. თუ ყოველივეს გათვალისწინებით, სამტრედიის გეოგრაფიული ადგილობრუობა ყველაზე ხელსაყრელი უნდა იყოს უსაფრთხოების და განვითარების თვალსაზრისით. სამტრედია სულ 70 კმ-ით არის დაშორებული ანაკლიისგან. "ანაკლიის ღრმა წყლოვანი პორტის" მშენებლობის დასრულების შემდეგ მილიარდ-

ობით ამონაგები თანხა ექნება და თუ ამ რესურსის მცირე ნაწილს ქვეყნის შიგა სივრცეში შემოვიტანთ, ქვეყანა მოგებულად დარჩება. რამეთუ დასავლეთ საქართველო ჩიხში არ მოექცევა. ყოველივე დიდ პერსპექტივას შეუქმნის ჩვენს ქალაქს, აქტიურად ჩართავს ქვეყნის დიდ ეკონომიკაში, ქალაქს შეუქმნის მყარ ბიუჯეტს მომავალი განვითარებისათვის. ქალაქი სამტრედია შეინარჩუნებს თავის ისტორიულ მისიას! დარწმუნებული ვარ ძალისხმევას არ დაიმურებთ საკითხის სათანადო ნიშნულამდე მისაყვანად.

კატინისკვიში
ზია მიქაძისკვიში

სამტრედიის არა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება

28 ოქტომბერს საქართველო ქვეყნის პრეზიდენტს აირჩევს. სამტრედიის №54-ე ოლქში კი საპრეზიდენტოს შუალედური არჩევნებიც დაემატება. მუნიციპალიტეტის მხოლოდ ერთ ქვეოლქში, ამომრჩეველი ერთი ნაცვლად ორ ბიულეტენს ჩააგდებს ურნაში. ეს 54-ე ოლქის 01 04 ქვეოლქის მაჟორიტარის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ლაშა რუსიას, მიერ მიმდინარე წლის 30 მაისს საკუთარი განცხადების საფუძველზე მაჟორიტარის უფლებამოსილებაზე უარის თქმით გახდა აუცილებელი. მის ადგილმონაცვლეს საკრებულოში ამ უბნის ამომრჩეველი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად შეარჩევს. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო-საარჩევნო კომისიაში განცხადებების შეტანის თარიღი კანდიდატობის მსურველებს 28 სექტემბრამდე აქვთ, საარჩევნო კანონმდებლობით კანდიდატობის რეგისტრაცია არჩევნების თარიღამდე 30 დღით ადრე წყდება. როგორც სამტრედიის 54-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა იმნაძე აცხადებს, ოთხმა კანდიდატმა რეგისტრაცია უკვე გაიარა, ესენი არიან: "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" აკაკი მინაშვილი, რომელიც 2017 წლის შუალედურ არჩევნებში ერთხელ უკვე დაფიქსირდა მაჟორიტარ კანდიდატად ამ ოლქში, "პატრიოტთა ალიანსიდან" ზაზა ნიკოლეიშვილი, საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებული დამოუკიდებელი კანდიდატი მალხაზ ნოდია და პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატი რამაზ რუხაძე.

თბაგაშვილი



საუბნო-საარჩევნო კომისიებმა პირველი სხდომები გააართმეს

საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, 50 შენობა-ნაგებობა 30 დღით სამტრედიის 54-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის დაქვემდებარებაშია. მოგეხსენებათ, უშუალოდ არჩევნების დღეს საარჩევნო მართონის მთელი დატვირთვა ძირითადად სოლღებზე მოდის, საუბნო კომისიები სწორედ იქაა განთავსებული.

26-27 სექტემბერს საუბნო-საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები უკვე გაიმართა. მათი დღის წესრიგი კომისიების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების და მდივნების არჩევით, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებზე მსჯელობით შემოიფარგლა.

საუბნო-საარჩევნო კომისიები ამ სხდომების შედეგად საკუთარი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგებიან. 54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქი 50 საუბნო-საარჩევნო კომისიისგან შედგება. თითოეულ მათგანს 12 წევრი ჰყავს, აქედან 6 კონკურსის პირობების დაცვით შერჩეული დამოუკიდებელი, 6 კი საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული.

54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე ნანა იმნაძე აღნიშნავს, რომ "არჩევნებამდე კიდევ 30 დღეა დარჩენილი. საარჩევნო კანონის გათვალისწინებით მიდის ყველა პროცესი. ჯერჯერობით, არანაირი პრობლემა არ დგას ჩვენს წინაშე, თუ რამე ასეთი გამოიკვეთება, კანონის ყველა ნორმის დაცვით იქნება აღმოფხვრილი. ამომრჩეველს ჩვენის მხრიდან არჩევნების ყველა კანონის დაცვით ჩატარების გარანტიას ვაძლევთ."

2018 წლის 28 ოქტომბერს გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბევრი აღარ რჩება. საარჩევნო კლიმატის დაძაბულობა დღითიდღე მატულობს. ამომრჩეველი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მილოდინით მისი კანონიერად და გამჭვირვალედ ჩატარების ნებას ელოდება.

თბაგაშვილი

სამი ადამიანის სიცოცხლე გადარჩენილია!

იმ დღეს, სექტემბრის 21-ში, ღვთისმშობლის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავდა საქრისტიანო. უბრალოდ დაემთხვა, თუ ასე უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში გამართული აქცია კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა.

სისხლის გაღების იმ საქველმოქმედო აქციით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ორგანიზებით რომ გაიმართა, სამი ადამიანის სიცოცხლე გადარჩებოდა. აღნიშნა კიდევ თბილისის სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის, იგივე სისხლის ბანკის დირექტორმა სამედიცინო დარგში მარინე რუხაძემ: "ჩვენ სისხლის გადასხმის სახელმწიფო სამსახურიდან გახლავართ. აქციის ფარგლებში უსასყიდლოდ გაღებული სისხლი ადამიანების გადარჩენის კეთილშობილურ საქმეს მოხმარდება. ამიტომ დეკარტვით ასე - "გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!" მადლობა იმ დონორებს, ვინც უფასო დონაციის სურველი გამოთქვა."

აქციაში, ძირითადად, საჯარო მოხელეებმა, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ ეს უბრალო ადამიანური ვალდებულებაა და ძალიან სასიამოვნოა, რომ ყველა მათგანის მიერ გაღებული სისხლი გაჭირვებაში მყოფ ადამიანს მოხმარდება.



საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი "სამტრედიის მაგნი" იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

საქართველოს გზავნილი მსოფლიოს

საოცრად ნიშნდობლივი იყო 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე საქართველოს პრემიერის, ბატონ მამუკა ბახტაძის მშობლიურ, ქართულ ენაზე გამოსვლა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, მცოცავი ანექსია, საერთაშორისო გამოწვევები, საქართველოს როლი საერთაშორისო პარტნიორობაში... ერთი სიტყვით ლამის 20 წუთიანი გამოსვლა, არა მარტო ოკუპირებული ტერიტორიებისა და მათი მოსახლეობის, არამედ თითოეული ქართველის, სრულიად საქართველოს პრობლემასა და საფიქრალს შეეხებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ პრემიერმა ბახტაძემ საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობის ეფექტურობას რომ გულისხმობს და გაეროს მოდერნიზაციაზე გაამახვილა ყურადღება.

ახალი ინიციატივაც გააუღერა საქართველოს პრემიერმა გაეროს მაღალი ტრიბუნადან, თბილისში საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარებას რომ ითვალისწინებს და რომელიც კავკასიის რეგიონისა და შავი ზღვის ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის მყარი საფუძველი იქნება.

ამყარა, რომ პრემიერ ბახტაძის გამოსვლა ერთობ მნიშვნელოვანია მის სიტყვაში გაუღერებული ინიციატივების გამო. ახლა მთავარია პრაქტიკული ნაბიჯები საერთაშორისო ორგანიზაციის – გაეროს მხრიდან.

ლევან ბახტაძე



ბარდასვლილი ჯარისკაცის ოჯახი სამართალს ეძებს

თბილისი

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ვიქსი სააგენტოში ტრასის გადაკვეთა ორფოლოს პოლიგონზე გარდაცვლილი ჯარისკაცი, მირზა ჩაჩუას ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიერ, სამხარაულის ექსპერტის ბიუროს დასვენება მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ორფოლოს საწვრთნელ პოლიგონზე 34-ე საარტილერიო ბატალიონის გარდაცვლილი ჯარისკაცის, მირზა ჩაჩუას გარდაცვალების მიზეზად გარდაცვლილის სისხლში ალკოჰოლის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა დასახელდა, რასაც გულის გაჩერება შეეძლო გამოეწვია.



ლილი ჯარისკაცის მამა.

ოჯახი დასვენებას არ ეთანხმება. "ჩემი შვილი 12 წელია ჯარისკაცია. იბრძოდა 2008 წლის ომში, მას წესიერ და მამაც ჯარისკაცად იცნობდნენ. სხვა რომ არაფერი, შეურაცხყოფელია ეს დასვენება ჩვენი ოჯახისთვის. არ სვამდა ჩემი შვილი, მოწესრიგებული ჯარისკაცი იყო და იცოდა, სად და რამდენი უნდა დაელოდა. თანაც დასვენებაში წერია, რომ სისხლში ეთილის სპირტის შემცველობა მის ორგანიზმში 2.49 % შეადგენდა, რაც ადამიანის მისაღებ დოზას ბევრად აღემატება." – ამბობს ვია ჩაჩუა, გარდაცვ-

ლილი ჯარისკაცის მამა. მარი ახვლედიანი, მირზა ჩაჩუას ახალგაზრდა ქვრივი ხაზს უსვამს, რომ: "ყველა ის ჯარისკაცი, ვინც მამინ მის გვერდით იყო, მათ შორის სამხედრო ნაწილის პასუხისმგებელი პირები ადასტურებენ, რომ მირზა ნასვამი არ ყოფილა, ადრე დილით, შეუძლოდ გახდა. თუ

კი ჯარისკაცი ნასვამი იყო, რატომ არ დგება შესაბამისი სამხედრო პირების პასუხისმგებლობის საკითხი? არ ყოფილა ნასვამი ჩემი მეუღლე, არ ვიცო, რა მოხდა იქ, ვის რა ვერსია აქვს და ვის რა."

სწორედ ამ გაურკვევლობის გასარკვევად ოჯახი დამოუკიდებელი ექსპერტის ჩატარებას ითხოვს. "უნდობლობას ვუცხადებთ სამხარაულის ბიუროს დასვენებას. განმეორებით რომ ჩატარდეს ექსპერტისა და კვლავ სამხარაულის ბიურომ ჩატაროს, ბუნებრივია, შედეგი იგივე იქნება. მუნიციპალიტეტის გამგებელი დახმარებას დაგვიპირდა იმ შემთხვევაში, თუკი დასვენებას სახელმწიფო სამსახური, ანუ სამხარაულის ექსპერტის ბიურო გააკეთებს, რაც შედეგს ვერ გამოიღებს." – აცხადებს გარდაცვლილი ჯარისკაცის მამა. მეუღლე კი ადასტურებს, რომ თავდაცვის სამინისტროსგან 7 ათასი ლარის ფარგლებში თანხა გადაეცა, მაგრამ "ეს თანხა ყველას გადაეცემა, მიუხედავად იმისა, რა შემთხვევას ექნება ადგილი. თუ სხვა არაფერი, ჩემს ორ არასრულწლოვან შვილს მამის ხელფასი პენსიად მაინც დაენიშნოს, ამას კანონი ითვალისწინებს, რაზეც უარს გვეუბნებიან, გარდა ამისა,

თუკი ჩემი მეუღლე სიმთვრალის გამო არ არის გარდაცვლილი, მის ოჯახსა და მცირეწლოვან შვილებს სხვა კომპენსაციაც ეკუთვნის. სწორედ ამ ვალდებულებების თავიდან ასაცილებლად დაილო ის დასვენა, რაც დაილო. არ მინდა მიცვალებული, 31 წლის ახალგაზრდა გავაწვავო, თორემ თუ აუცილებელი გახდება, დამოუკიდებელი ექსპერტისთვის საფლავსაც გავხსნი. ჩემთვის არა თანხა, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ ჩემი მეუღლე გარდაცვალების დროს ნასვამი არ ყოფილა, იგი მოწესრიგებული ჯარისკაცი გახლდათ!"

შეგახსენებთ, რომ ორფოლოს პოლიგონზე გარდაცვლილი ჯარისკაცს, სამედიცინო დახმარება სამედიცინო დაწესებულება შპს "უნიმედი სამცხეში"-ში გაეწვია. როგორც დაწესებულების მედიკოსი აცხადებდა, შეყვანისას იგი ცოცხალი აღარ იყო.

თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელებული განცხადებით: "34-ე საარტილერიო ბატალიონის მძლღის, მირზა ჩაჩუას ოჯახს, კონკრეტულად მის მეუღლეს, მარი ახვლედიანს, თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით 2018 წლის 12 ივლისს გაეწვია ფინანსური დახმარება 8 750 ლარის ოდენობით. შესაბ-

ამისად, მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უწყებამ, თანხის დაზოგვისა და კომპენსაციის არგაციების მიზნით, გარდაცვალების ექსპერტის დასვენა გააყალბა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და სიმართლეს არ შეესაბამება. არც დასვენის გაცემა და არც საქმის გამოძიება არ წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული შემთხვევა, დადგენილი წესების თანახმად, არ ითვალისწინებს კომპენსაციის გაცემას. თავდაცვის სამინისტრომ მირზა ჩაჩუას გარდაცვალებიდან ჯერ კიდევ მესამე დღეს ისარგებლა უფლებამოსილებით და პირადი, ინდივიდუალური აქტით გარდაცვლილის მეუღლეს გაეწვია ფინანსური დახმარება."

ოჯახი სწორედ ექსპერტის ამ დასვენას აპროტესტებს უპირველესად იმის გამო, რომ იგი შეურაცხყოფლად მიაჩნია ჯარისკაცისთვის, რომელსაც კარგი რეპუტაცია ჰქონდა. როგორც გარდაცვლილის მეუღლე და მამა აცხადებენ, მათ პრეტენზიებს ამ დრომდე არ ეხმაურება თავდაცვის სამინისტრო. ისინი სიმართლის დადგენას საკუთარი ძალებით ცდილობენ.

მახირდაირებრიუს სკოლაში ახარი სასწავლო წელი დაიწყო

ნოღო ნაწილარში

ეკლესიური ახალი წლის, 14 სექტემბრის ნაცვლად სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლაში სასწავლო პროცესი 17 სექტემბერს დაიწყო.

ახალი 2017-2018 სასწავლო წელი წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებს ხონისამტრედიის ეპარქიის მმართველმა მიულოცა. საგალობლების ფონზე მეუფე საბამ სადღესასწაულო პარაკლისი ჩაატარა და ახალგაზრდებს ბედნიერი სასწავლო წელი უსურვა. სკოლის რექტორმა წინა სასწავლო წლის წარჩინებული მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

ლამაზი სასწავლო გარემო და მოხერხებული ინვენტარი – სკოლა ახალ სასწავლო წელს ტრადიციულად მომზადებული შეხვდა.

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ყველა საკლასო ოთახში შევიდა, პირველ-კლასელებს ლექსები წააუკითხა და პატარებს ნიჭიერება შეუქო.

მეუფემ თავის ქადაგებაში მოსწავლეებს ქრისტიანული სწავლებიდან მოუწოდა, იქვე ახსნა, თუ როგორ უნდა მოიქცეს თითოეული მათგანი თანატოლებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან.

მეუფე საბამ პედაგოგებს მართლმადიდებლური სკოლის წინსვლის სამომავლო გეგმები დაუსახა და წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის სკოლაში ხშირ ვიზიტს დაჰპირდა.



თბილისის პატივსაცემი

ქართული იმედი — “გამარჯობა აფხაზეთო შენი!”

ჯვართაძეობას კიდევ ერთ-
ხელ მოუხდა მძიმე ჯვრის ტარ-
ება... და ასე ტკივილით გავიდა
25 წელი! მკურდმოჭრილი ამირ-
ძალივით გლოვობს საქართველო
აფხაზეთს, გლოვობს სინათლის
მღვანე მზეს და ლურჯ მთებში მო-
ქცეულ ზღვას, რომელიც შორი-
ა... და უკვე 25-ე წელია შორია!

ბევრი ითქვა და დაიწერა, კი-
დეც უფრო მეტი ითქვა და და-
იწერება, საქმეა მთავარი, საქმე,
რომელიც ამ მზეს და
ზღვას ისევ მოაახლო-
ებებს, ერთმანეთის სიყ-
ვარულით გულნატკენი
ძმების სამდურავს ისევ
ძმობად აქცევს, საქმე,
მკურდმოჭრილი ამირძ-
ალივით რომ არ დატოვ-
ებს საქართველოს და
ყველანაირი პათუტყვის
გარეშე — აფხაზეთის სა-
ქართველოს რომ დაუ-
ბრუნებს! “მანდა, მომა-
ვილიდან”, მხოლოდ
ლაპარაკი ისმის, საქმე
კი, საქმე არ ჩანს! წლ-
ებს კიდევ ემატება უა-
ფხაზეთო წლები და
ლაპარაკი სიმშარად შე-
ორჩინილი, ნელო-ნელო
აფიქვლება აფხაზეთი მე-
ხსიერებას, დრო ტკივილის აყურე-
ბსო და... მაგრამ ჯვართაძეობ-
ის ტკივილი არ დააფიქვებს აფ-
ხაზეთს იმ თაობებს, რომლებიც
ისე ვამარდნენ, თვალთ არ უნ-
ახაზეთი სამშობლო... თუმცა მაი-
ნც, აფხაზეთიდან ვარ, ხშირად
სჯაბნის ნათქვამს — ლტოლვი-
ლი!

იქვე სამაჩაბლოც, მათეოლ-
ლარიობის სიგრიძეს კვლავ რომ
არა აქვს ბოლო ერთ დროს ნამ-
თყვარალო მქონებელი მტრისგან!
იმისთვის, რომ ეს ტკივილი ისევ
ფერხდის, კიდევ ერთხელ ქედი მო-
უხდა იმ 13 თვიანი და 13 დღიანი
კონფლიქტის ხსოვნას საქართვე-
ლომ. 27 სექტემბერს, ჯვართაძე-
ობას რომ იქცა დაცემული სო-
ხუბად. ცეცხლის ორივე მხარეს
ძმები იღვანენ, ძმები, რომლებსაც
უკვე მოუნატრათ ერთმანეთი და
ბოლო დროის ძვრები ამის დას-
ტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

დანარჩენი საქართველოს მსგავ-
სად სამტრედიელებიც იქ შევირბნ-
ენ, სადაც ტრადიციულად იყრიდნ-
იან ხოლმე, როცა სამშობლოს სი-
ყვარულს, მისთვის დაღვრილ სისხ-
ლს, შეწირულ სიცოცხლეს იხსენე-
ბენ. დედის ძეგლს ეძახიან სამტრე-
დიელები ამ ადგილს, შინმოუსვლე-
ლის შავოსანი დედის მონუმენტით
ჯერ ისევ მეორე მსოფლიო ომის
ტკივილის გასახსენებლად რომ და-
იდგა ქალაქის ცენტრში. ამჯერად-
აც ყვავილებით შეამკეს 25 წლის
წინანდელი ჭრილობის, დაღვრილი
სისხლის და ტკივილის მოგონება,
ყვავილებით შეამკეს აფხაზეთის სი-
ყვარული, სოხუმელი ქალბატონის,
დალი ხუჭუას, გულწრფელი ცრემ-
ლით დასველებული. ნურაფერს მე-
ითხავთ, საუბარი არ შემიძლიაო,
ქალბატონმა დალიმ. და არავინ მი-
წყენს, თუ ვიტყვი, რომ იქ შეკრებ-
ილთაგან მას ყველაზე მეტად სტკი-

ოდა ამორძალის მოჭრილი მკერდი-
ვით დაცემული სოხუმი! ჭუბერით
გადმოვედი, გაიხსენა. ერთ-ერთი გა-
ხლდათ მათ შორის, ვინც ყველაზე
ბოლოს გამოვიდა ცეცხლმოკიდებუ-
ლი ქალაქიდან, მინისტრთა საბჭოს
ბუნეერიდან გამოაპარეს. 38 წელი
იცხოვრა სოხუმში, იქ დაიბადა და
გაიხსენა. გადმოვიდა და, მას მერე
იქ არ ყოფილა, გამძაფრებული წი-
ნაღმდევობის და პროტესტის გა-

ქმე ისაა, რომ თავადაც ლტოლვი-
ლად იქცნენ საკუთარ სამშობლოში,
ცოლა გვიან, მაგრამ მიხვდნენ, რომ
არ არიან დამოუკიდებლები. რომ არა
ის 200 წლოვანი მტერი, რომელიც
ამდენი ხანია, ცხადად თუ შეფარე-
ვით, გეგვიჯგნის და გვართმევს ტერ-
იტორიებს, რომელმაც მეგობრის ნი-
ღბის ქვეშ მოქცეული კლანტები მა-
ლა და ვერ დამალა, გასაყოფი არ-
აფერი გვქონდა ერთი წარმოშობის



კავკასიელ ხალხს. 25 წე-
ლი პატარა პერიოდი არ
არის ამის გასაანალიზებ-
ლად. მჯერა, მალე დადგე-
ბა ჩვენი მეგობრობის, ძმ-
ობის განახლების დრო და
აფხაზეთი კვლავ საქართვე-
ლოს ნაწილი გახდება.
თუმცა, საქართველოს ამ
ხნის მანძილზე ეჭვიც არ
შეპარვია ამაში.” — ეს სი-
ტყვები მუნიციპალიტეტის
მერს, ვალერი ფოცხვერი-
ას, ეკუთვნის, რომლის მო-
წოდებითაც წუთიერი ღუ-

მილით პატივი მიაგეს ძმთაძეო-
ვლ ომში დაღუპულთა ხსოვნას. მის
შემდეგ მკერდითან საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე კობა ძი-
ძიური მივიდა, რომელმაც კიდევ
ერთხელ აღნიშნა, რომ: “ჯვართაძე-
ობას დაეცა სოხუმი! ეს ნიშან-
ია იქნებ უფლისა იმისთვის, რომ
ეს იყო ჩვენი ნაკლებადმოწუნეო-
ბის შედეგი. საქართველოს არ უკე-
ირს ომები, მაგრამ განსაკუთრებით
სამწუხაროა, რომ ჩვენს თანამედრ-
ოვეობაში, ჩვენს ხელში დაეარგა
საქართველოს ეს ულამაზესი კუთ-
ხე. მაგრამ მინდა მჯეროდეს, როგ-
ორც ვახტანგ გორგასალმა, დაე-
ითმა, თამარმა რწმენით შეძლეს
საქართველოს გაერთიანება, ერ-
თმანეთის სიყვარული და უფლ-
ის რწმენა, კვლავ გაგვავართიან-
ებს და ერთმანეთის სიყვარულ-
ით საქართველოს მის მშობლი-
ურ კუთხეს დაუბრუნებს. ჯვარ-
თაძეობის ძალა ამას შეგვაძ-
ლებინებს!”

ახალგაზრდები მოსწავლე-ახ-
ალგაზრდობის სახლიდან სოხუ-
მის დაცემას საკუთარი ჩანახატ-
ებით ეხმარებოდნენ. პათოსი ქა-
რთველობით და აფხაზეთის, თე-
ვალთ უნახავი სამშობლოს სიყ-
ვარულით სავსე იყო და ეს ბად-
ებდა იმედს, რომ, როცა იტყვის,
ქართველი იტყვის — “გამარჯო-
ბა აფხაზეთო შენი!” მათ მიერ
სახელდახელოდ დაბეჭდილი ბუ-
კლეტები, რომლებსაც ყველა გა-
მკვლელს ურიგებდნენ, კიდევ ერ-
თხელ ასხენებდა მათ “სოხუმი
დაეცა! გვიხდა, რომ გახსოვდეთ!
სიყვარული დაგვაბრუნებს!”

მო, აფხაზეთმა მოღალატე-
ედ მონათლეს და ქალაქ-
ში შესვლა განსაკუთრებ-
ულად მკაცრად აუკრძა-
ლეს. იხსენებს... გასახსენ-
ებელ-მოსაგონებლის მე-
ტი რაა. “რუსული სანა-
ტორიუმების ტერიტორი-
ებით გამოვედი, რადგან
ვიცოდით, ის სანატორი-
უმები არ დაიბომბებოდა.
რუსულ-აფხაზეთი ან რუ-
სულ-სომხური ოჯახები
თითქმის არ არსებობდა
თურმე აფხაზეთში. ქართ-
ულ-აფხაზეთი, იცოცხლ-
ეთ, მრავლად! იმას, რაც
მოხდა, ვერც აფხაზეთი გა-
ბედავდნენ რუსეთის იმე-
დის გარეშე და ვერც რუ-
სები აფხაზეთის ნების გა-
უთვალისწინებლად!” — ამ-
ბობს ცრემლმორეული ქა-
ლბატონი.



საუბარი საკრებულოს თავმჯდ-
ომარეს, სოხუმის ბრძოლების უშუ-
ალო მონაწილეს, ნუგზარ ჯამბური-
ასაც უჭირს, იხსენებს, სამხედრო
კომისარიატიდან უწყების ჩაბარებ-
ისთანავე როგორ ჩაიკვია ჯარისკაც-
ის ფარაჯა და... მერე ომი იყო, ომი
ყველაზე დაუნდობელი ძმთაძეო-
ბის დროს, მერე სოხუმის დაცემა
და ტკივილი საქართველო უაფხა-
ზეთო! “სხვანაირად არ შეიძლება,
იმ სისხლის მერე სოხუმი და აფხ-
აზეთი ერთმანეთის სიყვარულმა, ერ-
თმანეთის მონატრებამ უნდა დაგვი-
ბრუნოს!” — ამბობს იგი.

“დღეს, ალბათ, სეპარატისტები
გამარჯვებას ზეიმობენ აფხაზეთში,
ჩვენთან კი გლოვის დღეა, თუმცა,
იქაც გლოვობს ბევრი, რადგან მიხ-
ვდნენ აფხაზეთს, რომ ვერაფერი მო-
იგეს. საბოლოოდ მიიღეს ის, რომ
დაკარგეს ნათესავები, მეგობრები. 15
ათასი დაღუპული ქართველი და
ლტოლვილად ქცეული 300 ათასი
ადამიანი სწორედ 25 წლის წინან-
დელი 27 სექტემბრის შედეგია. სა-



პროფესიული დღესასწაულის შესახებ

10 ოქტომბერს ქართველი ეროვნული რეინიგვლებთან ერთად ზეიმობს რეინიგვის 146 წლისთავს. ამ დღის შესახებ თარიღს რეინიგვლები დაუდასტურებენ შრომით ხელეობას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოში რეინიგვისა და სარეინიგვო სადგურების მშენებლობა ამ ხელსაწყოების პირობები შექმნა საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის განვითარებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სავაჭრო და სამრეწველო დაბების გარდაქმნისათვის. სამტრედიის ერთ დროს ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა, მაგრამ რეინიგვის გაყვანის შემდეგ სამტრედია დღითიდღე წარმატებული ხდებოდა. დაბას ამშენებდა ორსართულიანი სახლები, მრავალი მაღაზია და ბაღი. 1872 წლიდან ფოთი-თბილისის სარეინიგვო ხაზის გახსნისა და შემდგომში განშტოებების მშენებლობის შედეგად სამტრედია დასავლეთ საქართველოს სარეინიგვო ცენტრი გახდა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება.

ამიერკავკასიის რეინიგვის მშენებლობის აუცილებლობისათვის პირველი ცნობები მოცემულია მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, სადაც და-

ხასიათებულია სატრანსპორტო გზის მდგომარეობა ბაქო-ფოთის მიმართულებით, ხოლო 1857 წელს დაისვა საკითხი ფოთიდან თბილისამდე რეინიგვის გაყვანის შესახებ. წინადადების ავტორები ამტკიცებენ, რომ რეინიგვა მოახდენდა ამ მხარის გარდაქმნას ყველა მიმართულებით. რუსეთის იმპერატორმა მოიწონა ეს წინადადება და ნება მისცა მეფისნაცვალს მშენებლობისათვის საჭირო თანხის მოსაძიებლად. პროექტით 49 მილიონი მანეთი ჯდება. 1864 წლის 7 სექტემბერს კავკასიის კომიტეტმა დაამტკიცა პროექტი, სადაც ამიერკავკასიის რეინიგვის მშენებლობა ფოთიდან უნდა დაწყებულიყო. სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით შავი ზღვისაკენ მიმავალ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ამ დროისთვის, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, მტრის პირველი შეტევა (ამ შემთხვევაში თურქეთი) ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. ასევე მხედველობაში ჰქონდა რუსეთის მისი ეკონომიკური მნიშვნელობაც, როგორც სატრანსპორტო გზის. როგორც ცნობილია, პირველი რეინიგვას საფუძველი ჩაეყარა 1825 წელს ბრიტანეთში, ხოლო 1854 წელს რუსეთში. 1874 წელს 14 აგვისტოს გაიხსნა ფოთი-თბილ-

ისის რეინიგვის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე (შორობანი). ხოლო შემდგომ თბილისამდე პირველი მატარებელი ფოთიდან თბილისში ჩავიდა 1872 წლის 10 ოქტომბერს. თბილისი-ფოთის რეინიგვა გადაიქცა მთავარ სამომოსვლო სავაჭრო გზად საქართველოში. რეინიგვის გაყვანასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ახალი სავაჭრო პუნქტები და ქალაქები: სამტრედია, აბაშა, სენაკი, საჯავახო და სხვა. რომლის ირგვლივ მოსახლეობა იწყებდა დასახლებას. იწყება ამ დაბებსა და ქალაქებში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ხოლო სულ მოკლე დროში 1883 წელს, აშენდა სამტრედია-ბათუმის მაგისტრალი, ქუთაისი-რიონი. იმავე წელს ჩაეყარა საფუძველი ქუთაისი-ტყიბულის გზის მშენებლობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და მშენებლობა 4 წელიწადში დაითავსდა. სურამის უღელტეხილზე, რთული რელიეფის გამო, შეფერხებით მოძრაობდა შემადგენლობა და 1886 წელს იწყება წიფის გვირაბის მშენებლობა, რომელიც 4 წელიწადში დასრულდა. 1890 წლის 16 სექტემბერი დღესასწაულად გამოცხადდა.

როცა გაიმარჯვა გონებამ და ტექნიკამ ბუნების ძალებზე. ამ დღიდან ამიერკავკასია გახდა ნავთობის მაგისტრალი. 1895 წელს გაიხსნა ჭიათურის განშტოება, საიდანაც დაიწყო შავი ოქროს (მარგანეცის) გადაზიდვა ფოთის პორტში. ასევე გრძელდება რეინიგვის მშენებლობა – 1927 წელს სენაკი-ინგირი-ზუგდიდი, 1932 წელს ინგირი-ოჩამჩირე, 1938 წელს ოჩამჩირე-სოხუმი, ხოლო შემდეგ ადლერამდე. ლიანდაგის მშენებლობასთან ერთად შენდებოდა სადგურები, საორთქლმავლო, სავაგონო დეპოები და სხვა საწარმოები. 1932 წელს პირველი ელექტროწვეწვე იქნა გადაყვანილი სურამის უღელტეხილი ხაშურიდან ზესტაფონამდე, ხოლო 1936 წელს ზესტაფონი-სამტრედია. 1941 წელს მთლიანად დაიწყო რეინიგვის მაგისტრალის ელექტროფიკაცია, რამაც ერთიორად დააჩქარა მატარებელთა მოძრაობა და ტვირთბრუნვა. მე-20 საუკუნის 1970-1980-იან წლებისთვის დაინერგა ახალი ტექნიკა, განვითარდა სადგურები, მთლიანად გადავიდა ექსპლუატაციაში მეორე სარეინიგვო ხაზი სამტრედია-ზესტაფონი-თბილისი, აშენდა კეთილმოწყობილი სადგურები და ჩასასხდომი ბაქნები.

ათასობით ადამიანი. ქვეყნის ბიუჯეტში შედის ათასობით ლარი. ყველა რეინიგველსა და საქართველოს მოქალაქეს ეამაყება, რომ დღეს საქართველოს რეინიგვა გამართულად მუშაობს. საქართველოს რეინიგვის მაგისტრალი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. დიდი აბრეშუმის გზა და საქართველოს რეინიგვა ურთიერთთანხვედრი ცნებებია. დღეის რეინიგვის სტაბილური და გამართული მუშაობის როლი საქართველოს ეკონომიკისა და წინსვლის განვითარების საქმეში. რეინიგველთა ამ დიდ კოლექტივში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ შეუფერხებლად მუშაობდეს ქვეყნის სასიცოცხლო არტერია, სულ უფრო და უფრო გაუმჯობესდეს აქ დასაქმებულ ადამიანთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობები. ეს კარგად ესმით სამტრედიელ მელოკომოტივეებს, მევაგონეებს, მელიანდაგეებს, ელექტროფიკატორებს, მეკავშირეებს, მოძრაობის ქმედებს, სადგურის კოლექტივებს. სამტრედიელი რეინიგველები თავის კოლეგა საქართველოს რეინიგველებთან ერთად პირნათლად შეხვდნენ რეინიგველთა 146 წლისთავს – თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს.

რამაზ შაპიაშვილი

ხეინიგზელები ხეინიგზედითა ქადაგიდანი

ლეონა გაგინაძე

კიდევ ერთი დედაწამალი რეინიგველი გაგინაძე თავად დედაწამალი რეინიგველმა, ჩვენი განხეთის დიდი ხნის მეგობარმა ბატონმა რეივან შამათავამ.

სოფელ დიდ ჯიხანიშვილში, 1939 წელს დაიბადა ბატონი ნოდარ თუთისანი, საშუალო სკოლის შემდეგ მექანიზაციის სასწავლებელი დაამთავრა და მთელი ცხოვრება რეინიგვის განვითარებას მიუძღვნა.

1962 წლიდან მოყოლებული, უკვე 56 წელია, სარეინიგვო ტრანსპორტის მკვლევარად მუშაობს თანამშრომელი.

შეგნებულად არაფერს ვიტყვით სხვადასხვა წლებში მის სამსახურებრივ მონაცვლეობაზე. ის კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სადაც კი იმუშავა ბატონმა ნოდარმა, კაცური კაცის სახელი თან სდევდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიურმა მებრძოლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ომის შემდეგ აღდგენით სამუშაოებში.

დედაწამალი რეინიგველის პირად არქივში არაერთი საბატიო სიგელი, ჯილდო ინახება რეინიგვანზე, მის მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობაზე რომ მეტყველებენ.

“... ჯილდოვდება ნოდარ თუთის-


ანი, “გზამშენებლის” სამტრედიის №2 სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე რეინიგვის ტრანსპორტის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის და აქტიური საქმიანობისათვის”... კეთილშობილთა ერთ-ერთ განკარგულებაში, მის დაჯილდოვებას რომ ეხება.

2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ბატონი ნოდარ თუთისანი ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

უყვარს სამტრედია და სამტრედიელები ჩინებული ოჯახის თავკაცს. უყვარს და სიჭარბის მიუხედავად, ყველაფერს აკეთებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბატონი ნოდარ ერთ-ერთი იმთავანია, რომლებიც მომავალმა თაობებმა მაგალითად უნდა გაიხადონ, როგორ ემსახურო სამშობლოს, საყვარელ საქმეს.

მოახლოებულ პროფესიულ დღესასწაულს, რეინიგველის დღეს ეულოცავთ ბატონ ნოდარს, ბატონ რეივან შამათავას, ჩვენს რესპონდენტს რომ უმეგზურა რედაქციაში, სამტრედიელ რეინიგველებს და ყოველივე კარგს ვუსურვებთ პროფესიულ საქმიანობაში, რეინიგველთა ქალაქის საკეთილდღეოდ.



უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლა!

ლეონა გაგინაძე

ყველი არასოდეს გაუვა ბრძენის ამ ბრძულ ნათქვამს.

თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში წიგნი კვლავ რჩება ყველა თაობის ადამიანისათვის უტყუარ მეგობრად, გზის მკვლევად, მასწავლებლად. ახლის, შეუცნობლის მაცნე.

სასიამოვნო ინფორმაცია გვაუწყა ამ დღეებში საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ. 11 ათასი წიგნი ამ დღეებში სოფელ დიდი ჯი-

ხაიმის ბიბლიოთეკას გადაეცა. ცხადია, ამ რაოდენობის წიგნის გადაზიდვა გარკვეულ ხარჯებთან და ძალებთან იყო დაკავშირებული. დახმარებისათვის მუნიციპალიტეტის თავკაცებს მიმართეს და დახმარებაზეც არ დააყოვნა.

“უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა მერის მოადგილეს, ბატონ დავით ბახტაძეს, დიდ ჯიხანიშვილთა მაგისტრატის, საერებულოს წევრს, ბატონ გიორგი ლეყავას, გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, ბატონ ელგუჯა კალაძეს, ამ სამსახურის თანამშრომლებს,

რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ წიგნების გადაზიდვის პროცესში, თანადგომისა და დახმარებისათვის, საქმის გულთან ახლოს მიტანისათვის”. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ლამარა დუნდუამ.

უდავოა, დიდ ჯიხანიშვილებისათვის კარგი საჩუქარია 11 ათასი წიგნი.

სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტის თავკაცები და ცალკეული პირები გაგებით ეკიდებიან საერთო საქმეს და პოზიტიური შედეგის სახეზეა.



გაუტყვევლი სიმტკიცე

1606 წელს შაჰ-აბას პირველმა კახეთის მეფედ დაამტკიცა ქეთევან დედოფლის ვაჟი თეიმურაზ პირველი, თუმცა, თეიმურაზის სინორჩის გამო, სამეფო საქმეებს დედოფალი ქეთევანი განაგებდა.

1614 წელს შაჰის მოთხოვნით თეიმურაზმა განჯაში მძევლად გაგზავნა უმცროსი შვილი ალექსანდრე და დედამისი, დედოფალი ქეთევანი. როგორც მოსალოდნელი იყო, შაჰმა დედოფალს გამაჰ-მადიანება მოსთხოვა, მტკიცე უარმაც არ დააყოვნა. ვერაინ და ვერაფერმა შეაცვლევინა დედოფალს გადაწყვეტილება, მოკვდარიყო ქრისტეს რჯულისათვის.

სამხნელი ტანჯვა-წამება მოუვლინეს “ურჩ” დედოფალს. განცვიფრებულნი შესცქეროდნენ დედოფლის მშვიდ სახეს. ქრისტე, საქართველო, ბუტბუტებდა მომაკვდავი.

გოის ავგუსტინელთა ბერებმა წმინდა დედოფლის ნაწილები სპარსეთიდან ჩუმად გაიტანეს. დედოფლის ნეშტის ნაწილები საქართველოში, ალავერდის ტაძარში (დაიკარგა 1723 წელს.) ინდოეთში (გოი დე-გრასას მონასტერში), რომში (წმინდა პეტრეს ტაძარში) ინახებოდა.

ქართულმა ეკლესიამ ქრისტესათვის წამებული და ვნებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. ქეთევან დედოფლის წამება აღწერა თეიმურაზ პირველმა (პოემა “წამება ქეთევან დედოფლისა”), გერმანელმა მწერალმა გრიფიუსმა შექმნა ტრაგედია “ქეთევან წამებული, ანუ გაუტყვევლი სიმტკიცე”. თვეების წინ, გარკვეული ხნით ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები საქართველოში ჩამოაბრძანეს, ყველა ეპარქიაში, მათ შორის ხონისა და სამტრედიის ეპარქიაშიც შესაძლებელი იყო მორწმუნე მრევლი მიახლებოდა სიწმინდეებს.

26 სექტემბერს (ახალი სტილით) აღინიშნა ქეთევან წამებულის ხსენების დღე.

ლევან ბაბუნაძე



გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს **ლევან ათანასეს (რუსაძემ)**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

მამა ათანასე

ია-ვარდი მოვიფანტავს, ნარ-ეკლიან სავალ გზაზე, ეგ ღიმილი ტკივილს მალავს, ტკივილს, მამა ათანასე. ეგ ღიმილი, მადლიანი, ტკივილს სძლევს და პპოებს შეებას, ქადაგება, საქმიანი, არ გაპყვება დაიწყებას. ტირის ერი, ტირის მრევლი, გლოვის თასი – ცრემლით სავსე, ცათა შინა ხარ მლოცველი, ახლა, მამა ათანასე.



მამა ათანასე

მხატვარი ხატავს...

ხატავდა ისიც, უბრალოდ, სადად, ძალდაუტანებლად, ხატავდა და თითოეულ ნახატში საკუთარ გულს, სულს ღებდა.

რეინფორსა ქალაქის შემოქმედი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი იყო ლუკა კობრეიძე, ალაღ-მართალი კაცი, ნადრეუად რომ დატოვა წუთისოფელი.

საზოგადოებას არაერთხელ ჰქონდა ბედნიერება, მხატვრის სიცოცხლეში თუ შემდეგ, სწვეოდა მის გამოფენებს და სულიერი საამოვნება განეცადა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ “წინსვლის” რედაქციის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბეჭაიას მიერაა ეს ფოტო გადაღებული, რომელზედაც გამოხატული არიან (მარცხნიდან) მურად მუქერია, სულიერ ნინუა, თამაზ მიქაძე და ლუკა კობრეიძე, კულტურის სახლში მხატვრის ნამუშევრების გამოფენაზე.

ისტორიას ჰყვება ეს ფოტო, იმ ღამეში წლების ღამე ისტორიას, როცა რაიონში დღედა კულტურული ცხოვრება. აუცილებელია ითქვას, რომ ტრადიციას არც დღეს ღალატობენ სამტრედიელები. დიდი ხანია, ქვეყნად აღარაა ბატონი ლუკა კობრეიძე, ახალი, ნიჭიერი თაობა გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე, თუმცა, ჭეშმარიტ მხატვარს მაინც არ იფიქრებენ, არაერთი თბილი სიტყვა თქვა მასზე ამ დღეებში ცნობილმა მხატვარმა გივი ფრანგიშვილმა და მწუხარება გამოთქვა მისი მეგობრის ნადრეუად გარდაცვალების გამო.

კიდევ ბევრს გაკეთებას მოასწრებდა,

საოცრად ეროვნული კაცი იყო. – დასძინა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე შემოქმედი ინტელიგენციის დიდმა თავიანთსმცემელმა გიორგი ლეჟავამ.

კარგი კაცი, კარგი მხატვარი, სამტრედიელებს მართლაც რომ გული დასწვივია. – გვეუბნება მხატვარ-კარიკატურისტი ბეჟან გოგია.

შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, კარგი შვილების მამა. – ასე ივონებს მხატვარს ჩვენი კოლეგა მკა პაპავა.

ჭეშმარიტად კარგი კაცი, კარგი მეგობარი, უებრო ხელოვანი გახლდათ ბატონი ლუკა კობრეიძე.

ლევან ბაბუნაძე




რატომ და როგორ სჯილდენ სიამელი გლეხები ამინდის განმგებელ ღვთაებას?

იმისათვის, რომ სასურველი ამინდის მოყვანაში როგორმე შეეწყოთ ხელი, იაპონელ და ჩინელ გლეხთა მსგავსად, უძველესი ეპოქებიდანვე გაუგონარ მეთოდს მიმართავდა ტაილანდში მცხოვრები სიამელი გლეხებიც. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სიამელი გლეხების თხოვნას არ შეისმენდა ის ღვთაება, რომელსაც მათი რწმენით ძალუძდა გვალვების, წვიმებისა და სხვა ბუნებრივი მოვლენების გამოწვევა და კონტროლი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მაშინ მას განრისხებული ხალხი “სათანადოდ სჯიდა”. კერძოდ, გვალვის შემთხვევაში ისინი ბუნების ძალთა განმგებელ ღვთაებას ჯერ თხოვნით მიმართავდნენ, წვიმა მოევიდნა მათთვის, და როდესაც იგი მათ თხოვნას დიდი ხნის განმავლობაში არ შეისმენდა, ღვთაებას დასჯით ემუქრებოდნენ. ღვთაების დასჯას კი სიამელი შემდეგი მეთოდით ახორციელებდნენ: ტაძრებიდან გამოჰქონდათ მისი ქანდაკებები და თაკარა მზის ქვეშ აწყობდნენ მანამ, სანამ წვიმა არ მოვიდოდა; იმ შემთხვევაში კი, თუ ხანგრძლივი წვიმებით თავმოებზრებული სიამელების თხოვნას, მოევიდნა მათთვის დარი, არ შეისმენდა სიამელთა ღვთაება, ასეთ შემთხვევაში ისინი ტაძრებს სახურავებს ხსნიდნენ ღვთაების დასჯის მიზნით და მხოლოდ მაშინ ხურავდნენ მათ, როდესაც გამოიღარებდა. უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც სიამელმა გლეხებმა ხანგრძლივი პერიოდის წვიმების გამო დასაჯეს თავიანთი ღვთაება, 1888 წლის აპრილში იქნა დაფიქსირებული. მაშინ ხალხმა ბუნების ძალთა განმგებელი ღვთაების ქანდაკება “ციხეში ჩასვა”, საიდანაც მხოლოდ მაშინ განთავისუფლდა” (5 დღის შემდეგ), როდესაც წვიმამ გადაიღო და გამოიღარა.

Genia.Ge

არქიტას ტარენტინელის უმსახე...

არქიტას ტარენტინელი (ძვ.წ.აღ.-ით 428-347 წლები) – წარმადგენა დიდ ძველბერძენ ფილოსოფოს-პითაგორელს, მექანიკის ფუძემდებელს, მათემატიკოსს, მხედართმთავარსა და სახელმწიფო მოღვაწეს. ჯიმი სტამპის მიერ ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნებულ მასალაში კვითხულობთ, რომ ერთ-ერთი უდიდესი ძველბერძენი ფილოსოფოსის – პლატონის თანამედროვესა და მისი მეგობრის – არქიტასის მიერ ძვ.წ.აღ.-ით 350 წელს გამოგონებული და შექმნილი მექანიკური ხის მტრედი, რომელიც ორთქლის მეშვეობითა და მასზე გამობმული თოვის მეშვეობით იმართებოდა, თანამედროვე ტექნოლოგიის პირველი რობოტი და პირველი უპილოტო საფრენი აპარატი გახლდათ. აღნიშნული ინფორმაციას არა მარტო სტამპი, არამედ სხვა მეცნიერებაც ამტკიცებენ და ამის თვალნათელი მაგალითი გახლავთ თუნდაც ის, რომ 1993 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ჰაერნაოსნობის ინსტიტუტის მიერ შესაქმნელ პროექტს პირველი საფრენი უპილოტო აპარატისა, სწორედ უდიდესი ძველბერძენი მეცნიერის და გამოგონებლის არქიტასის სახელი დაერქვა. აღნიშნული ინფორმაციას არა მარტო სტამპი, არამედ სხვა მეცნიერებაც ამტკიცებენ და ამის თვალნათელი მაგალითი გახლავთ თუნდაც ის, რომ 1993 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ჰაერნაოსნობის ინსტიტუტის მიერ შესაქმნელ პროექტს პირველი საფრენი უპილოტო აპარატისა, სწორედ უდიდესი ძველბერძენი მეცნიერის და გამოგონებლის არქიტასის სახელი დაერქვა. აღნიშნული ინფორმაციას არა მარტო სტამპი, არამედ სხვა მეცნიერებაც ამტკიცებენ და ამის თვალნათელი მაგალითი გახლავთ თუნდაც ის, რომ 1993 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ჰაერნაოსნობის ინსტიტუტის მიერ შესაქმნელ პროექტს პირველი საფრენი უპილოტო აპარატისა, სწორედ უდიდესი ძველბერძენი მეცნიერის და გამოგონებლის არქიტასის სახელი დაერქვა.



ეწოდა. რომელი მწერალი და ფილოლოგი – ავლეს გელიუსი (130-180 წლები) წერდა, რომ ტარენტინელის მიერ შექმნილი ხის მექანიკური მტრედი მოძრაობაში მოჰყავდა სპეციალურ ორთქლის მოწყობილობას, რომლის კონტროლიც თოვის მეშვეობით ხორციელდებოდა (სამწუხაროდ, აღნიშნული მოწყობილობის აგებულების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია). თუმცა რიგი ავტორების გადმოცემებით, ჩვენ გვეუბნობთ ქალაქ ტარენტას მოსახლეობის იმ რეაქციას, რომელიც არქიტასის მიერ შექმნილმა პირველმა “უპილოტო საფრენი აპარატმა” გამოიწვია. არქიტასს, როგორც პირველი უპილოტო საფრენი აპარატის და პირველი რობოტის ავტორის აღიარებს ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო NASA-ც.



Genia.Ge



კეჭინარი ჩემპიონია



ვალურია – 2018 წელსაც სპორტულ ღონისძიებებს მოიცავდა. ეწრის თემში ტურნირები ფეხბურთსა და ფრენბურთში 5 წელია ტარდება. მან ტრადიციული ხასიათი მიიღო. ტურნირის მიზანია, ახალგაზრდებში პოპულარიზაცია გაუწიოს სპორტის სხვადასხვა სახეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

სოფელ კეჭინარში ვალურიას მოედანზე 10 დღის გამავლობაში მიმდინარეობდა თამაშები. სპორტის ორივე სახეობაში სულ 80-მდე ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. მინიტურნირებმა პრიზიორი გუნდები გამოავლინა. სპორტის ორივე სახეობაში კეჭინარის გუნდი გახდა ჩემპიონი. მეორე ადგილზე შარშანდელი ჩემპიონი – ხორავას ქუჩის გუნდი გავიდა. ხოლო მესამე ადგილს გვიმრალას გუნდი დასჯერდა. თამაშებს სისტემატურად ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები. ფინალზე დაჯილდოებაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერმა ვალურაზე ფიცხვერამ, მერის მოადგილემ დავით ბახტაძემ, ეწრის დეპუტატმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერაბ უღრელიძემ.


საფრენბურთო განათებულ მოედანზე ასევე ფინალური მატჩი შედგა ფრენბურთულ გუნდებს შორის, სადაც უპირატესობას მაილწიეს და თასის მფლობელები გახდნენ კეჭინარელი ფრენბურთელები. მეორე ადგილზე ჯიქთუბანი გავიდა, მესამე ადგილს პატარა ეწერი დასჯერდა.

ნინო ნანიტაშვილი



“პირველი ტურისტული კომპანიის დამაარსებელი”

მსოფლიო ისტორიაში პირველი “ტურისტული კომპანიის” დამაარსებელი გახლავთ ცნობილი ინგლისელი მეწარმე და ბიზნესმენი თომას კუკი (1808-1892 წლები). იდეა ამ ინოვაციური მომსახურებისა, მას ლონდონის გზაზე, ქალაქ კიბორთთან ეტლის მოლოდინის დროს გაუჩნდა. იდეა კი მდგომარეობდა იმაში, რომ თავისი აქტივობებისთვის ექსკურსია შეეთავაზებინა. ამავე პერიოდში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის შიდა ნაწილებისაკენ მიმავალი რკინიგზა, რამაც კუკს საშუალება მისცა, ქალაქ ლესტერიდან რამდენიმე მილიონ დაცილებულ ლაპბოროში გამგზავრებულიყო. იქვე შეაგროვა “არამსმელთა მოძრაობის” 450 აქტივისტი. 1841 წლის 5 ივლისს, თომასმა შეკრებილი თითოეული აქტივისტისაგან 1 შილინგი აკრიფა. ამ თანხაში შედიოდა ბილეთის, მგზავრობის და საკვების საფასური. შეგროვებული თანხით ბილეთების ყიდვის კომპანიასთან მაილწია ბილეთებზე ფასდაკლების შეთანხმებას. ეს იყო ისტორიაში პირველი კერძო დაქირავებული ექსკურსია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის მოეწყო. მომდევნო სამი ზაფხულის მანძილზე დაგეგმა და განახორციელა ექსკურსიები კვლავ “არამსმელთა საზოგადოების” წევრებისათვის და საკვირაო სკოლის მოსწავლეობისთვის. 1844 წელს, სარკინიგზო კომპანიამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა მგზავრობა მუდმივად მიწოდების თაობაზე. ამ წარმატებამ თომასს საკუთარი ბიზნესის წამოწყებისაკენ უბიძგა. ექსკურსიების მოწოდების კუკს ბილეთების საფასურიდან გარკვეული პროცენტი რჩებოდა. 1850 წელს, კუკმა უკვე პირველი ექსკურსია განახორციელა საზღვარგარეთ. ამ დროს მან კლიენტები პარიზში გამოიყვანა. მომდევნო წელს დაიწყო თავისი “დიდი წრეული ტურები” ევროპაში 1860-იან წლებში განახორციელა ტურები იტალიის, შვეიცარიის, ეგვიპტისა და ამერიკის მიმართულებით. კუკის მიერ დაარსებული სააგენტო – “inclusive independent traver” მგზავრებს ბილეთით საკვებითა და დაბინავებით უზრუნველყოფდა. 1863-64 წლებში შოტლანდიურმა სარკინიგზო კომპანიებმა თომასს შეთანხმება გაუქმეს, რადგან ექსკურსიების ბიზნესის წამოწყება საკუთარი ძალებით გადაწყვიტეს. თავის ვაჟთან, ჯონთან პარტნიორობის დაწყების შემდეგ, კუკმა სააგენტოს სახელი შეუცვალა და – “Thomas-Cook and Son” უწოდა. ბიზნესის წარმოების უფლება და ლიცენზია მათ ლონდონში ფლიტ-სტრეიტზე მოიპოვეს. ამ დროისათვის, კუკმა პერსონალური ტურები შეწყვიტა და საშინაო და საგარეო მოგზაურებს შორის აგენტად იქცა. მის ოფისში ასევე გახსნილი იყო გზამკვლევი წიგნები, ჩემოდნები და ტელეკოპები, ჯონის კომერციული ნიჭის წყალობით კომპანია მალე გაფართოვდა. ამავე დროს, თომასმა და მისმა ცოლმა ოფისის თავზე პატარა “არამსმელთა სასტუმრო” გახსნეს. 1865 წელს, სააგენტო ტურებს ამერიკის მიმართულებით ახორციელებდა. 1871 წელს პარტნიორობა დაიწყო ამერიკელ ბიზნესმენთან, რის შემდეგაც კომპანიას – “Cook, Son and Jenkins” უწოდეს, თუ კვლავ ძველი სახელწოდება დაუბრუნეს 1872 წლიდან დაიწყო ტურები მსოფლიოს გარშემო. მათ შორის იყო ამერიკის კონტინენტი, იაპონია, ტურნე ინდოეთში, რომელიც ორასოცდარი დღის გრძელდებოდა. თომას კუკის დაარსებული ტურისტული სააგენტო დღემდე ახორციელებს ფუნქციონირებას და იგი ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ ორგანიზაციასაც წარმოადგენს მსოფლიოში. 2007 წლიდან თომას კუკის მიერ დაარსებული პირველი ტურისტული კომპანია – “Thomas Cook Group”-ის სახელით არ ცნობილი.



ასე რატომ სეველიანობს, გული ასე რატომ კენჭის? იმიტომ რომ გაზაფხულზე იაღონის ხმა არ ესმის. იმიტომ, რომ ცის ტატნობზე ჯერაც მუქი ფერებია, იმიტომ, რომ ზამთარს გული ჯერ ვერ შეუჯერებია. თუმცა ძალიან გაზაფხული, ღონეს იგრებს, ძლიერდება, მალე ცაზე მზეც ამოვა, იაღონიც ამღერდება. მზე გაათბობს ირგვლივ ყოველს, აყვავდება მთა და მდელი, კვლავ ხმამაღლა ამღერდება, ერთიანი საქართველო. მალე ცაზე მზე ამოვა...

გაზაფხული... ზამთარი...
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, როგორ სწრაფად მიქრან, შეაჯერეს მთა-ბარი. მეც ჩამიბეს ფერულში, მათთან ერთად მატარებს, თუმცა იყო ზამთარიც, გაზაფხულიც მახარეს. ჟამიც სივარულისა, თვალუფუნა მაისი, სიცოცხლის სათავეანი გარიჟრაჟი, აისი. ზოგჯერ იყო სიცივეც, სულაც ხშირად სციოდა, ბევრჯერ იყო ღამე, თუმცა მზე კვლავ ამოდიოდა. ახლა? ახლა ვედავ, რომ შემოდგომამ იძალა! თვალმათა ვარდებმა, უკვე ფერი იცვალა. თუმცა ისევ სითბოა, სადღაც გაქრა ხალისი. რადგან უკვე წავიდა, თვალუფუნა მაისი. აწი? აწი რაღა იქნება, ალბათ, მოვა ზამთარი...
ბარბანა გოგამი

ანანო ბიძამს!
ჩვენო ანანო, ლამაზო, თბილო და საყვარელო, ღამით მოვარე ხარ, დღისით მზე და ვარსკვლავიც ხარ ცაზე მანათობელი, გილოცავთ დაბადების დღეს. ფიზიკურ და გონებრივ ზრდასთან ერთად 5 წელი ... და იზრდება ჩვენი ფანტაზიაც... მინდა გისურვო, ბევრი სიხარული, დიდი სიყვარული, წარმატებები... ღმერთმა მოგცეს სიმშვიდე, სიბრძნე და გონიერება... ცხოვრებაში კიდევ უამრავი დაბადების დღე აღგვენიშნოს შენი ლამაზი ღმილის თანხლებით, გვიყვარხარ ძალიან. გვარავდეს ღმერთი ყველგან და ყოველთვის!
გაბა და გაბა



გაბონ ოთარ ჩრდილულს!
პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, 44 წლის შესრულებას. წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
კატიპისცემით
“სამხრადილის მაცნე”



გაბონ თაგაზ ბიძამს!
გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს – 75-ე წლისთავს.
გავიდა დრო, დარჩა მოგონებები, რომელიც იტყვის თქვენი განვლილი გზის და მოღვაწეობის შთამბეჭდავ ფურცლებს – დაწყებული მუშის პროფესიიდან რაიონის პირველ თავკაცობამდე და რაც მთავარია, ჩვენი თაობის გულწრფელ ურთიერთობებს, მეგობრობის საუკეთესო წლებს, რაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებიდან იღებს სათავეს.
გაიხარეთ!
გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დღევანდელობას თქვენს ლამაზ ოჯახთან, ღირსეულ შთამომავლობასთან ერთად.
კატიპისცემით ნათელა ბელთიშვილი



რედაქციის მისამართი:
სამხრადილი, რისუპლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაგნი

დირექტორი ბაქან გოგია
მთავარი რედაქტორი ქატიპანა ჭაქიძე
გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე